საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომის
ოქმი N 2

24.03.2021.

დისტანციურ სხდომას ესწრებოდნენ: ამირხანაშვილი ივანე, ანანიაშვილი იური, ბერულავა გიორგი, გოგიაშვილი ლიანა, დემეტრაშვილი დემური, ებრალიძე თამარ, ლომინაძე გიორგი, ნადარაია ელიზბარ, ნადარეიშვილი ვახტანგ, სალუქვაძე იოსებ, ხუციშვილი ქეთევან, შალიკაშვილი მორის, შენგელაია ალექსანდრე, ჭედია რომან, ჯობავა თამარ, ქადეიშვილი თორნიკე.

დღის წესრიგი:

1. იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სამართალი“ დოქტორანტ **თამარ მახარობლიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;
2. იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სამართალი“ დოქტორანტ **ოთარ ჩახუნაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;
3. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა“ დოქტორანტ **ელენე ფიცხელაურის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;
4. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა“ დოქტორანტ **მაია გრიგოლიას** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;
5. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „პოლიტიკის მეცნიერება“ დოქტორანტ **ვლადიმერ ნაფეტვარიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;
6. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „საზოგადოებრივი გეოგრაფია“ დოქტორანტ **გიორგი ლეკვეიშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და საზოგადოებრივი გეოგრაფიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;

7. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოლოგია“ დოქტორანტ **სალომე პატარიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;

8. ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „განათლების მეცნიერებები“ დოქტორანტ **ელისაბედ ბუსხრიკიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და განათლების მეცნიერებების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;

9. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფიზიკა“ დოქტორანტ **გრიგოლ ფერაძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტების და დაცვის კომისიის დამტკიცება;

10. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული მეცნიერება“ დოქტორანტ **გვანცა წულაიას** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტების და დაცვის კომისიის დამტკიცება;

11. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „გეოგრაფია“ დოქტორანტ **ირაკლი მეგრელიძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტების და დაცვის კომისიის დამტკიცება;

12. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება“ დოქტორანტ **ნინო ჯანელიძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტების და დაცვის კომისიის დამტკიცება;

13. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა“ დოქტორანტ **ლელა მამალაძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტების და დაცვის კომისიის დამტკიცება;

14. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება“ დოქტორანტ **მიხეილ ჩიკვილაძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტების და დაცვის კომისიის დამტკიცება;

15. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა“ დოქტორანტ **ვახტანგ ჩქარეულის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტების და დაცვის კომისიის დამტკიცება;

16. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა“ დოქტორანტ **დავით კეშელავას** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტების და დაცვის კომისიის დამტკიცება;

17. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა“ დოქტორანტ **ნინო ლობჟანიძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტების და დაცვის კომისიის დამტკიცება;

18. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოლოგია“ დოქტორანტ **ლილიანა გოგიჩაიშვილის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტების და დაცვის კომისიის დამტკიცება;
19. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოლოგია“ დოქტორანტ **ანა კოპალიანის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტების და დაცვის კომისიის დამტკიცება;
20. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ამერიკისმცოდნეობა“ დოქტორანტ **ნანა პარინოსის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტების და დაცვის კომისიის დამტკიცება;
21. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოლოგია“ დოქტორანტ **ლანა ჯღარკავას** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტების და დაცვის კომისიის დამტკიცება;
22. მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინის“ დოქტორანტ **მაია ჭიოკაძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებისა და დაცვის კომისიის დამტკიცება.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა დღის წესრიგის პროექტი.
კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
დაადგინეს: დამტკიცდეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სამართალი“ დოქტორანტ **თამარ მახარობლიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.
მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, თსუ პროფესორმა მერაბ ტურავამ, საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „არასრულწლოვანთა სასჯელების ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტები“ - დაცვის პროცედურის და სამეცნიერო ღირებულების შესახებ. ისაუბრა დოქტორანტის გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ. მან აღნიშნა, რომ დაცვას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 87 ქულით.
აზრი გამოთქვა: ე. ნადარაია დაინტერესდა, საქართველოში აღნიშნული საკითხის კვლევით და მისი პრაქტიკული გამოყენებით.

მოისმინეს: მ. ტურავამ აღნიშნა, რომ ადრეც იყო ეს საკითხი კვლევის საგანი, თუმცა დოქტორანტის მიერ საკითხი შესწავლილია ახლებური მიდგომებით. დისერტანტს ჰქონდა თავისი მიგნებები და ახალი სუნთქვა შესძინა ამ საკითხს. ბუნებრივია, პრაქტიკაში, კერძოდ, არასწრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში გამოიყენება.

აზრი გამოთქვა: თ. ჯობავა დაინტერესდა დოქტორანტის მიერ დისერტაციაში მოყვანილი რეკომენდაციებით და კანონშემოქმედებაში მათი გამოყენების საკითხით.

მოისმინეს: მ. ტურავამ აღნიშნა, რომ ნებისმიერ დისერტაციაში შემუშავებული რეკომენდაციები და დასკვნები შესაძლებელია გამოიყენონ, რომლებიც ზოგჯერ ხელს უწყობს პრაქტიკის სრულყოფას, ზოგჯერ - კანონის შემუშავებაში გამოიყენება და ა.შ.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **თამარ მახარობლიძისთვის** სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სამართალი“ დოქტორანტ **ოთარ ჩახუნაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, თსუ ასოც. პროფესორმა, ეკატერინე ქარდავამ, საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოების თავისებურებები“ - დაცვის პროცედურის და სამეცნიერო ღირებულების შესახებ; ისაუბრა დოქტორანტის გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ. მან აღნიშნა, რომ დაცვას ესწრებოდა კომისიის ყველა წევრი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 93 ქულით.

აზრი გამოთქვა: ე. ნადარაია დაინტერესდა, დისერტაციის თემასთან დაკავშირებით ადრეული კვლევებით.

მოისმინეს: ე. ქარდავამ აღნიშნა, რომ ეს დისერტაცია სიახლეს წარმოადგენს ამ საკითხის კვლევის კუთხით. დისერტაციის შინაარსი არის კრიტიკა იმ კოდექსის, რომელიც საქართველოში მოქმედებს. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოება განხილულია უფლებების ჭრილში. დასკვნები და რეკომენდაციები იძლევა შესაძლებლობას, რომ საკანონმდებლო ორგანოს მიერ იყოს გაზიარებული ახალი კანონის შემუშავებისას.

აზრი გამოთქვა: თ. ჯობავა დაინტერესდა იმ ჟურნალით, სადაც გამოქვეყნებულია დოქტორანტის პუბლიკაცია.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა აღნიშნა, რომ ჟურნალი აკმაყოფილებს ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულების მოთხოვნებს.

აზრი გამოთქვა: თ. ქადეიშვილი დაინტერესდა ზოგადად თსუ-ს დოქტორანტების პრაქტიკული მოღვაწეობის საკითხით, კერძოდ, დისერტაციები იწერება კარიერისთვის და მათი ამბიციის დასაკმაყოფილებლად თუ ისინი მხოლოდ მეცნიერებას უძღვნიან თავს?

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა აღნიშნა, რომ რთულია ამ თემაზე საუბარი; ასეთ სტატისტიკას საბჭო არ აწარმოებს.

აზრი გამოთქვა: თ. ჯობავამ აღნიშნა, რომ იურიდიული და ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტების მიერ წარმოდგენილი დისერტაციების ავტორების უმეტესობა, თითქმის 50 %, პრაქტიკოსი-მოხელეები არიან.

მოისმინეს: ე. ქარდავამ აღნიშნა, რომ კონკრეტულად დოქტორანტი ოთარ ჩახუნაშვილი პრაქტიკოსი-მოხელეა და ასევე ახალგაზრდა მკვლევარია.

მოისმინეს: მ. შალიკაშვილმა აღნიშნა, რომ ო. ჩახუნაშვილი სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა შპაიერის უნივერსიტეტში და იქ მუშაობდა დისერტაციაზე.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **ოთარ ჩახუნაშვილისთვის** სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა“ დოქტორანტ **ელენე ფიცხელაურის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, თსუ პროფესორმა, ელგუჯა მექვაბიშვილმა, საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - ,,მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების თანამედროვე ტენდენციების სტატისტიკური კვლევა“ - დაცვის პროცედურის და სამეცნიერო ღირებულების - თემის აქტუალობის, მიზნების და ამოცანების - შესახებ. ასევე ისაუბრა დოქტორანტის გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ. აღნიშნა, რომ დისერტანტი ამჟამად ცხოვრობს და მუშაობს ლუქსემბურგში. საკმაოდ იცნობს

უცხოურ ლიტერატურას, რაც გამოყენებული აქვს კიდეც ნაშრომში. მან აღნიშნა, რომ დაცვას ესწრებოდა კომისიის ყველა წევრი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 96 ქულით.

აზრი გამოთქვა: თ. ჯობავა დაინტერესდა სტატისტიკური მიმართულების რა მეთოდები იყო გამოყენებული დისერტაციაში.

მოისმინეს: ე. მექვაბიშვილმა აღნიშნა, რომ ამაზე ვერ უპასუხებს და სადისერტაციო საბჭოს წევრებს შეუძლიათ ნახონ დისერტაცია, მოიწვიონ სამეცნიერო ხელმძღვანელი ან დოქტორანტი, რომლებიც პასუხს გასცემენ დასმულ შეკითხვას.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **ელენე ფიცხელაურისთვის** ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა“ დოქტორანტ **მაია გრიგოლიას** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, თსუ პროფესორმა, ეთერ ხარაიშვილმა, საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „ფისკალური პოლიტიკის მაკროეკონომიკური ეფექტები საქართველოში“ - დაცვის პროცედურის და სამეცნიერო ღირებულების შესახებ. აღნიშნა, რომ დოქტორანტი ეწევა აკადემიურ მოღვაწეობას, ის მუშაობს ქუვეიტის ამერიკულ უნივერსიტეტში. ისაუბრა დოქტორანტის გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ. მან აღნიშნა, რომ დაცვას ესწრებოდა კომისიის 10 წევრი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 97 ქულით.

აზრი გამოთქვა: ქ. ხუციშვილმა აღნიშნა, რომ პუბლიკაციები მაღალრეიტინგულ, რეფერირებად ჟურნალებშია გამოქვეყნებული.

აზრი გამოთქვა: თ. ქადეიშვილმა აღნიშნა, რომ მაია გრიგოლია წარმატებული სტუდენტი იყო აისეტ-ში და შემდეგ სწავლა გააგრძელა დოქტორანტურაში.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა

(შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **მაია გრიგოლიასთვის** ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „პოლიტიკის მეცნიერება“ დოქტორანტ **ვლადიმერ ნაფეტვარიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.
მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მდივანმა, თსუ ასოც. პროფესორმა, სალომე დუნდუამ, საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „ელექტრონული მმართველობის დანერგვა საქართველოში: პრობლემები და პერსპექტივები“ - დისტანციური დაცვის პროცედურის და სამეცნიერო ღირებულების შესახებ. ისაუბრა რეცენზენტების მიერ წარმოდგენილი რეცენზიების შესახებ; ასევე, დოქტორანტის მიერ მაღალრეიტინგულ ჟურნალებში გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ. მან აღნიშნა, რომ დაცვას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი და სამივე რეცენზენტი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 83,71 ქულით.
კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **ვლადიმერ ნაფეტვარისთვის** პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „საზოგადოებრივი გეოგრაფია“ დოქტორანტ **გიორგი ლეკვეიშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) საზოგადოებრივი გეოგრაფიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.
მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრმა, თსუ ასოც. პროფესორმა, ნინო პავლიაშვილმა, საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „შინამეურნეობების ენერგომოხმარების თავისებურებები საქართველოს სასოფლო და მცირე საქალაქო დასახლებებში“ - დაცვის პროცედურის და სამეცნიერო ღირებულების შესახებ. ისაუბრა დოქტორანტის გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ. მან აღნიშნა, რომ დისტანციურ დაცვას ესწრებოდა კომისიის ყველა წევრი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 86,29 ქულით.
აზრი გამოთქვა: ქ. ხუციშვილმა აღნიშნა, რომ დოქტორანტს პუბლიკაციები გამოქვეყნებული აქვს სკოპუსის ბაზის ჟურნალებში.

მოისმინეს: ი. სალუქვაძემ, როგორც დისერტაციის რეცენზენტმა, ისაუბრა ნაშრომის სამეცნიერო ღირებულებაზე, მის აქტუალობაზე. აღნიშნა, რომ დოქტორანტის მიერ წარმოდგენილი იყო საუკეთესო პრეზენტაცია. მან აღნიშნა, რომ თავს შეიკავებს ხმის მიცემისგან.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ ხმის მიცემისგან თავი შეიკავა ი. სალუქვაძემ, ხოლო დანარჩენი წევრების მიერ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **გიორგი ლეკვეიშვილისთვის** საზოგადოებრივი გეოგრაფიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოლოგია“ დოქტორანტ **სალომე პატარიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მდივანმა, თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ქართული ლიტერატურის სამეცნიერო განყოფილების უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა, ადა ნემსაძემ, საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „ქალური ნარატივის თავისებურებანი მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის გერმანულენოვან და ქართულ პოეზიაში“ - დაცვის პროცედურის შესახებ. ისაუბრა დოქტორანტის გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ. მან აღნიშნა, რომ დაცვას ესწრებოდა კომისიის ყველა წევრი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 96 ქულით.

აზრი გამოთქვა: ა. შენგელაია დაინტერესდა დისერტაციის სამეცნიერო ღირებულებით.

მოისმინეს: ა. ნემსაძემ აღნიშნა, რომ საინტერესო სადისერტაციო ნაშრომი იყო. დისერტაციაში დოქტორანტმა წამოადგინა საკუთარი თარგმანები გერმანული ენიდან.

აზრი გამოთქვა: ქ. ხუციშვილმა აღნიშნა, რომ გამოქვეყნებული პუბლიკაციები აკმაყოფილებს ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულების მოთხოვნებს.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **სალომე პატარიძისთვის** ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „განათლების მეცნიერებები“ დოქტორანტ **ელისაბედ ბუსხრიკიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრმა, თსუ ასოც. პროფესორმა, რუსუდან სანაძემ, საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „ინტეგრირებული სწავლების პრობლემები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში“ - დაცვის პროცედურის და სამეცნიერო ღირებულების შესახებ. აღნიშნა, რომ დისტანციურ დაცვას ესწრებოდნენ ახლადაკრედიტებული პროგრამის ხელმძღვანელები ოთხივე უნივერსიტეტიდან; დოქტორანტი არის სკოლის მასწავლებელი. ისაუბრა დოქტორანტის გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ. მან აღნიშნა, რომ დაცვას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 86 ქულით.

აზრი გამოთქვა: ე. ნადარაია დაინტერესდა თუ რა საგნის პედაგოგია დოქტორანტი?

მოისმინეს: რ. სანაძემ აღნიშნა, რომ ელისაბედ ბუსხრიკიძე პირველ სკოლაში ასწავლის ისტორიას.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **ელენე ბუსხრიკიძისთვის** განათლების მეცნიერებების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფიზიკა“ დოქტორანტ **გრიგოლ ფერაძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია (თემა: „კოლექტიური პროცესები და თერმოდინამიკა დამაგნიტებულ კვანტურ პლაზმასა და ფერმის ნეიტრალურ სითხეებში“; სამეცნიერო ხელმძღვანელი: თსუ პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი - ნანა შათაშვილი).

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფიზიკა“ დოქტორანტ **გრიგოლ ფერაძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით:

რეცენზენტები:

ა) ვაჟა ბერეჟიანი - თსუ ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის პლაზმის ფიზიკის განყოფილების მთავარი მეცნიერი-თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი.

ბ) ალექსანდრე თევზაძე - აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის თეორიული ასტროფიზიკისა და კოსმოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერი-თანამშრომელი; მათემატიკის დოქტორი.

გ) რამაზ ხომერიკი - თსუ ასოცირებული პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

ა) მერაბ ელიაშვილი - თსუ პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი.

ბ) არჩილ უგულავა - თსუ პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი.

გ) თამაზ კერესელიძე - თსუ პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი.

დ) ალექსანდრე შენგელაია - თსუ პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი.

ე) ოლეგ ხარშილაძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი.

ვ) გიორგი ციციშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი.

ზ) რევაზ ჭანიშვილი - თსუ მიხეილ ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი-თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის დოქტორი.

თ) ზაზა ოსმანოვი - აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის თეორიული ასტროფიზიკისა და კოსმოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერი-თანამშრომელი; თავისუფალი უნივერსიტეტის ფიზიკის სკოლის პროფესორი, ფიზიკის დოქტორი.

ი) ქეთევან სიგუა - თსუ ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახ. ფიზიკის ინსტიტუტის პლაზმის ფიზიკის განყოფილების უფროსი მეცნიერი-თანამშრომელი, ფიზიკა- მათემატიკის დოქტორი.

კ) დავით გარუჩავა - თსუ ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახ. ფიზიკის ინსტიტუტის პლაზმის ფიზიკის განყოფილების უფროსი მეცნიერი-თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის დოქტორი.

ლ) გელა გელაშვილი - თსუ ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახ. ფიზიკის ინსტიტუტის პლაზმის ფიზიკის განყოფილების მთავარი მეცნიერი-თანამშომელი, ფიზიკა-მათემატიკის დოქტორი.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული მეცნიერება“ დოქტორანტ

გვანცა წულაიას სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია (თემა: „გადაწყვეტილების მიღების აგრეგირების ოპერატორები და სქემები ფაზი განუზღვრელ გარემოში"; სამეცნიერო ხელმძღვანელები: გია სირბილაძე - თსუ პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი; ირინა ხუციშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის დოქტორი).

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული მეცნიერება" დოქტორანტ **გვანცა წულაიას** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით:

რეცენზენტები:

ა) ანა სიხარულიძე - მდგრადი განვითარების ცენტრი „რემისია"-ს ტექნიკური მენეჯერი, ფიზიკა-მათემატიკის დოქტორი;

ბ)გიორგი ბოლოთაშვილი - სტუ კიბერნეტიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი-თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის დოქტორი.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

ა) ალექსანდრე გამყრელიძე - თსუ პროფესორი, ინჟინერიის დოქტორი;

ბ) მანანა ხაჩიძე - თსუ პროფესორი, ტექნიკის დოქტორი;

გ) ბეჟან ღვაბერიძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის დოქტორი;

დ) ბიძინა მიდოდაშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის დოქტორი;

ე) თეიმურაზ მანჯაფარაშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის დოქტორი;

ვ) ზურაბ ქოჩლაძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, ტექნიკის დოქტორი;

ზ) ნათელა არჩვაძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის დოქტორი;

თ) ქეთევან კუთხაშვილი - საქართველოს უნივერსიტეტეის ასოცირებული პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის დოქტორი;

ი) ბიძინა მაცაბერიძე - თიბისი ბანკის ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, კომპიუტინგის დოქტორი.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „გეოგრაფია" დოქტორანტ **ირაკლი მეგრელიძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია (თემა: „საქართველოში სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შეფასება კლიმატის

ცვლილების გათვალისწინებით"; სამეცნიერო ხელმძღვანელები: დავით კერესელიძე - თსუ პროფესორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი; ვაჟა ტრაპაიძე - თსუ ასოც. პროფესორი, ტექნიკის დოქტორი).

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „გეოგრაფია" დოქტორანტ **ირაკლი მეგრელიძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით:

რეცენზენტები:

ა) ლამზირა ლაღიძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, გეოგრაფიის დოქტორი;

ბ) ზურაბ ჯანელიძე - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, გეოგრაფიის დოქტორი;

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრები:

ა) ზურაბ სეფერთელაძე - თსუ პროფესორი, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი;

ბ) ლია მაჭავარიანი - თსუ პროფესორი, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი;

გ) დალი ნიკოლაიშვილი - თსუ პროფესორი, გეოგრაფიის დოქტორი;

დ) ბესიკ კალანდაძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, გეოგრაფიის დოქტორი;

ე) მარიამ ელიზბარაშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი;

ვ) თენგიზ გორდეზიანი - თსუ ასოცირებული პროფესორი, გეოგრაფიის დოქტორი;

ზ) გიორგი ბრეგვაძე - თსუ ასისტენტ-პროფესორი, გეოგრაფიის დოქტორი;

თ) გიორგი მელაძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;

ი) გივი გავარდაშვილი - სტუ წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დირექტორი, მთავარი მეცნიერი-თანამშრომელი, ტექნიკის დოქტორი.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება" დოქტორანტ **ნინო ჯანელიძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია (თემა: „სოციალური მეწარმეობა და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში", სამეცნიერო ხელმძღვანელი: შოთა შაბურიშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი).

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება“ დოქტორანტ **ნინო ჯანელიძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით:

რეცენზენტები:

ა) გულნაზ ერქომაიშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;

ბ) მაია ჭანია - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ - პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

ა) ავთანდილ სილაგაძე - თსუ პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი;

ბ) ნუგზარ თოდუა - თსუ პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი;

გ) თეიმურაზ შენგელია - თსუ პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი;

დ) ეთერ ხარაიშვილი - თსუ პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი;

ე) თორნიკე ხოშტარია - ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;

ვ) ხათუნა ბერიშვილი-თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;

ზ) ვასილ კიკუტაძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;

თ) დავით სიხრულიძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;

ი) ნინო ფარესაშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;

კ) რამაზ ფუტკარაძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;

ლ) ლეილა ქადაგიშვილი - თსუ ასისტენტ-პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა“ დოქტორანტ **ლელა მამალაძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია (თემა: „ინტერესთა ჯგუფების ფორმირებისა და ეკონომიკურ-პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე მათი გავლენის თავისებურებები“; სამეცნიერო ხელმძღვანელი: ეკა ლეკაშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი).

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა“ დოქტორანტ **ლელა მამალაძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით:

რეცენზენტები:

ა) მიხეილ თოქმაზიშვილი - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი;

ბ) გივი ბედიანაშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

ა) ავთანდილ სილაგაძე - თსუ აკადემიკოსი, პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი;

ბ) თემურ ბერიძე - თსუ პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი;

გ) რევაზ გველესიანი - თსუ პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი;

დ) სიმონ გელაშვილი - თსუ პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი;

ე) მურმან კვარაცხელია - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი;

ვ) ეთერ ხარაიშვილი - თსუ პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი;

ზ) მირიან ტუხაშვილი - თსუ პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი;

თ) ირინე გოგორიშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;

ი) გულნაზ ერქომაიშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;

კ) გიორგი გაფრინდაშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;

ლ) ნაზირა კაკულია- თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი

მ) მარინე ნაცვალაძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;

ნ) ლალი ხურცია - თსუ ასისტენტ- პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება“ დოქტორანტ **მიხეილ ჩიკვილაძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია (თემა: “არაპირდაპირი გადასახადების საგადასახადო დანაკარგი და მისი შემცირების შესაძლო მიმართულებები საქართველოში"; სამეცნიერო ხელმძღვანელი: ხათუნა ბარბაქაძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი).

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება“ დოქტორანტ **მიხეილ ჩიკვილაძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით:

რეცენზენტები:

ა) გიორგი ცაავა - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი;

ბ) მარიამ ვარდიაშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

ა) ირაკლი კოვზანაძე - თსუ პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი;

ბ) თემურ ბერიძე - თსუ პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი;

გ) სიმონ გელაშვილი - თსუ პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი;

დ) ნუგზარ თოდუა - თსუ პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი;

ე) ლევან საბაური - თსუ პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;

ვ) დავით ნარმანია - თსუ პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;

ზ) ელგუჯა მექვაბიშვილი - თსუ პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი;

თ) თამარ გამსახურდია - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი;

ი) თეიმურაზ ყანდაშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი;

კ) ლეილა ღუდუშაური - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;

ლ) მიხეილ ჩიკვილაძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;

მ) ნატო კაკაშვილი - თსუ ასისტენტ-პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;

ნ) თამარ კბილაძე - თსუ ასისტენტ-პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა“ დოქტორანტ **ვახტანგ ჩქარეულის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია (თემა: „ეკონომიკური თავისუფლების გავლენა მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე“; სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნაზირა კაკულია - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი).

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა“ დოქტორანტ **ვახტანგ ჩქარეულის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით:

რეცენზენტები:

ა) მამუკა ხუსკივაძე - თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი-თანამშრომელი, ეკონომიკის დოქტორი;

ბ) ნინო დამენია - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

ა) ვლადიმერ პაპავა - თსუ პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი;

ბ) ავთანდილ სილაგაძე - თსუ აკადემიკოსი პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი;
გ) იური ანანიაშვილი - თსუ პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი;
დ) რევაზ გველესიანი - თსუ პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი;
ე) სიმონ გელაშვილი - თსუ პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი;
ვ)ეთერ ხარაიშვილი - თსუ პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი;
ზ)მირიან ტუხაშვილი - თსუ პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი;
თ)თეა ლაზარაშვილი - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;
ი) მანანა ლობჟანიძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;
კ) მალხაზ ჩიქობავა - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;
ლ) გივი ბედიანაშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა“ დოქტორანტ **დავით კეშელავას** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია (თემა: „სავალუტო კრიზისების მაკროეკონომიკური წანამძღვრები და პრევენციის გზები საქართველოში", სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნაზირა კაკულია - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი).
კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა“ დოქტორანტ **დავით კეშელავას** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით:
რეცენზენტები:
ა) გულნაზ ერქომაიშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;
ბ) ლაშა ლაბაძე - კუვეიტის ამერიკული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი.
სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:
ა) ვლადიმერ პაპავა - თსუ პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი;
ბ) ავთანდილ სილაგაძე - თსუ პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი;
გ) სიმონ გელაშვილი - თსუ პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი;
დ) ეთერ ხარაიშვილი - თსუ პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი;

ე) მირიან ტუხაშვილი - თსუ პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი;
ვ) აკაკი არსენაშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;
ზ) ალექსანდრე ერგეშიძე - საქართველოს ეროვნული ბანკი, ეკონომიკის დოქტორი;
თ) მანანა ლობჟანიძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;
ი) მალხაზ ჩიქობავა - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;
კ) მურმან ცარციძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი;
ლ) მარინა ტაბატაძე - თსუ ასისტენტ-პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა“ დოქტორანტ **ნინო ლობჟანიძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია (თემა: „კონკურენცია ქართული მინერალური წყლების ბაზარზე და პროდუქტის კონკურენტუნარიანობის შეფასება“; სამეცნიერო ხელმძღვანელი: ეთერ ხარაიშვილი - თსუ პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი).

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა“ დოქტორანტ **ნინო ლობჟანიძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით:

რეცენზენტები:

ა) გულნაზ ერქომაიშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;
ბ) ბადრი გეჩბაია - შოთა რუთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

ა) ვლადიმერ პაპავა - თსუ პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი;
ბ) ავთანდილ სილაგაძე - თსუ პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი;
გ) გიორგი ღაღანიძე - თსუ პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;
დ) რევაზ გველესიანი - თსუ პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი;
ე) ელგუჯა მექვაბიშვილი - თსუ პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი;
ვ) მირიან ტუხაშვილი - თსუ პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი;
ზ) მანანა ლობჟანიძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;
თ) ინეზა გაგნიძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;
ი) ია ნაცვლიშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;

კ) ნინო დამენია - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;
ლ) მარინა ჩავლეიშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;
მ) თამარ ლაზარიშვილი - თსუ ასისტენტ-პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოლოგია“ დოქტორანტ **ლილიანა გოგიჩაიშვილის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია (თემა: „ბაროკოს ესთეტიკის საფუძვლები ჯონ დონის პოეზიაში“; სამეცნიერო ხელმძღვანელი - თემურ კობახიძე, ფილოლოგიის დოქტორი, თსუ პროფესორი).
კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
დაადგინეს: დამტკიცდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოლოგია“ დოქტორანტ **ლილიანა გოგიჩაიშვილის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით:
რეცენზენტები:
ა) დავით მაზიაშვილი – ფილოლოგიის დოქტორი, თსუ ასოც. პროფესორი;
ბ) თამარ გელაშვილი – ფილოლოგიის დოქტორი, თსუ ასისტენტ-პროფესორი.
სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:
ა) მანანა გელაშვილი - ფილოლოგიის დოქტორი, თსუ პროფესორი;
ბ) პაატა ჩხეიძე - ფილოლოგიის დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
გ) ირმა რატიანი - ფილოლოგიის დოქტორი, თსუ პროფესორი;
დ) ირაკლი ცხვედიანი - ფილოლოგიის დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
ე) კონსტანტინე ბრეგაძე - ფილოლოგიის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი;
ვ) ილია პაჭკორია - ფილოლოგიის დოქტორი;
ზ) სალომე დავითულიანი - ფილოლოგიის დოქტორი.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოლოგია“ **ანა კოპალიანის** სადისერტაციო ნაშრომის

რეცენზენტები და დაცვის კომისია (თემა: „ამერიკელი ქალი პოეტების ქართული თარგმანები შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის კონტექსტში“; სამეცნიერო ხელმძღვანელები: ნანა გაფრინდაშვილი - ფილოლოგიის დოქტორი, თსუ პროფესორი; რუსუდან დოლიძე – თსუ ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი).

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოლოგია“ დოქტორანტ **ანა კოპალიანის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით:

რეცენზენტები:

ა) თემურ კობახიძე - ფილოლოგიის დოქტორი, თსუ პროფესორი;

ბ) ეკატერინე ნავროზაშვილი – ფილოლოგიის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

ა) პაატა ჩხეიძე - ფილოლოგიის დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

ბ) მარიამ მირესაშვილი - ფილოლოგიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

გ) კახაბერ ლორია - ფილოლოგიის დოქტორი, თსუ პროფესორი;

დ) დავით გოცირიძე - ფილოლოგიის დოქტორი, თსუ პროფესორი;

ე) ნინო წერეთელი - ფილოლოგიის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი;

ვ) თამარ პაიჭაძე - ფილოლოგიის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი;

ზ) ირინა გველესიანი - ფილოლოგიის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ამერიკისმცოდნეობა“ დოქტორანტ **ნანა პარინოსის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია (თემა: „აფროამერიკელი ქალები ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულ ძალებში: წვლილი და გამოწვევები“; სამეცნიერო ხელმძღვანელები: (ელენე მეძმარიაშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი, ისტორიის დოქტორი; ჯერემი თაიგენი - აშშ-ს რამაპოს უნივერსიტეტის დოქტორი, პროფესორი).

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ამერიკისმცოდნეობა“ დოქტორანტ **ნანა პარინოსის**

სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით:

რეცენზენტები:

ა) მიხეილ ბარნოვი - ისტორიის დოქტორი, თსუ ასისტენტ-პროფესორი;

ბ) თეა ჭუმბურიძე - ამერიკისმცოდნეობის დოქტორი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

ა) ვასილ კაჭარავა - ისტორიის დოქტორი, თსუ პროფესორი;

ბ) თეიმურაზ პაპასქირი - ისტორიის დოქტორი, თსუ პროფესორი;

გ) თამარ შიოშვილი - ფილოლოგიის დოქტორი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი;

დ) ნინო გამსახურდია - ამერიკისმცოდნეობის დოქტორი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, გენდერული კვლევების ინსტიტუტის ხელმძღვანელი;

ე) მედეა ბადაშვილი - საზოგადოებრივი გეოგრაფიის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი;

ვ) ვახტანგ მაისაია - პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი;

ზ) თამარ ცხადაძე - ფილოსოფიის დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოლოგია“ დოქტორანტ **ლანა ჯღარკავას** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია (თემა: „რობერტ პილის ორატორული დისკურსი კოგნიტური სტილისტიკის თვალსაზრისით“; სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო დარასელია - ფილოლოგიის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი).

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოლოგია“ დოქტორანტ **ლანა ჯღარკავას** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით:

რეცენზენტები:

ა) რუსუდან დოლიძე - ფილოლოგიის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი;

ბ) ირინე დემეტრაძე - ფილოლოგიის დოქტორი, თსუ ასისტენტ-პროფესორი.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

ა) მანანა რუსიეშვილი - ფილოლოგიის დოქტორი, თსუ პროფესორი;
ბ) იზაბელა პეტრიაშვილი - ფილოლოგიის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი;
გ) ნათია ნემსაძე - ფილოლოგიის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი;
დ) ციცინო ხვედელიძე - ფილოლოგიის დოქტორი, თსუ ემერიტუს პროფესორი;
ე) გიორგი ყუფარაძე - ფილოლოგიის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი;
ვ) რუსუდან კავთიაშვილი - ფილოლოგიის დოქტორი, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი;
ზ) ნინო ქიმერიძე - ფილოლოგიის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინის“ დოქტორანტ **მაია ჭიოკაძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია (თემა: „ენდომეტრიუმის ლიმფოციტთა სუბპოპულაციები ქალებში უცნობი გენეზის ორსულობის განმეორებითი დანაკარგებით“; სამეცნიერო ხელმძღვანელი: ჯენარო ქრისტესაშვილი - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ მეანობა-გინეკოლოგიის და რეპროდუქტოლოგიის კათედრის ასოცირებული პროფესორი).

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინის“ დოქტორანტ **მაია ჭიოკაძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით:

რეცენზენტები:

ა) თინათინ ჩიქოვანი - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის იმუნოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი.
ბ) ლალი ფხალაძე - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ მედიცინის ფაკულტეტის მეანობა-გინეკოლოგიის და რეპროდუქტოლოგიის კათედრის მოწვეული ლექტორი.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

ა) არჩილ ხომასურიძე - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თსუ მედიცინის ფაკულტეტის რეპროდუქტოლოგიისა და მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
ბ) მანანა გეგეჭკორი - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, ზურაბ საბახტარაშვილის რეპროდუქციული კლინიკის სასწავლო/სამეცნიერო მიმართულების ხელმძღვანელი;

გ) ლუდმილა ბარბაქაძე - მედიცინის დოქტორი, თსუ მედიცინის ფაკულტეტის მეანობა-გინეკოლოგიის და რეპროდუქტოლოგიის კათედრის ასისტენტ-პროფესორი;
დ) არსენ გვენეტაძე - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ მედიცინის ფაკულტეტის მეანობა-გინეკოლოგიის და რეპროდუქტოლოგიის კათედრის ასოცირებული პროფესორი;
ე) რევაზ სულუხია - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ მედიცინის ფაკულტეტის მეანობა-გინეკოლოგიის და რეპროდუქტოლოგიის კათედრის ასოცირებული პროფესორი;
ვ) მაკა ჯორბენაძე - მედიცინის დოქტორი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის სამედიცინო ეთიკისა და ჯანმრთელობის სოციოლოგიის კათედრის ასოცირებული პროფესორი;
ზ) ლარისა მელია - მედიცინის აკადემიური დოქტორი, ღუდუშაურის ცენტრის გინეკოლოგიური განყოფილების გამგე;
თ) ნინო ქიქოძე - ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, თსსუ იმუნოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
ი) ელენე ასანიძე - მედიცინის აკადემიური დოქტორი, რეპროდუქციული მედიცინის ცენტრი „უნივერსის“ მეან-გინეკოლოგი.

საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე,
ქეთევან ხუციშვილი



საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს მდივანი,
მორის შალიკაშვილი